ISSN 1512-1801

The 4th Teacher Conference "**University and School**" (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

პროექტით სწავლების ეფექტურობა

ლელა იმნაიშვილი

სსიპ ქ. ქუთაისის მე-14 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი

ანოტაცია

ბავშვის სრულფასოვანი განვითარება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად აქვს მას საკუთარი შესაძლებლობების, ინტერესებისა თუ ნიჭის გამოვლენისა და განვითარების საშუალება. სწორედ მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესების,მათპიროვნულ და სოციალურ განვითარებასა და თვითაქტუალიზაციას, ასევე თავისუფალი დროის რაციონალურად დაგეგმვას უწყობს ხელს სხვადასხვა ტიპის კლასგარეშე აქტივობა.უნდა აღინიშნოს ისიც ,რომ სკოლებში, სადაც არსებობს არაფორმალური განათლების კომპონენტები, მოსწავლეები უკეთესი აკადემიური მოსწრებითა და თანამშრომლობის უნარით გამოირჩევიან, იშვიათად აქვთ დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემები, გამოირჩევიან ასევე საკუთარი თავისადმი დადებითი დამოკიდებულებითა და თვითეფექტიანობის განცდით. სწორედ ამის გათვალისწინებით გადავწყვიტე, განმეხორციელებინა კიდევ ერთი პროექტი, ამჯერად სახელწოდებით: ,,დავიცვათ მსოფლიო" - ,,Save The World ".ამ თემის შერჩევა განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა, ერთ-ერთი გახლავთ ის, რომ გარემოს დაცვის პრობლემა არ კარგავს თავის აქტუალობას უკანასკნელი ათწლეულებია.ჩვენთვის, მასწავლებლებისთვის, მეტად მნიშვნელოვანია დავანახოთ ჩვენს აღსაზრდელებს, თუ როგორ გავლენას ახდენს ადამიანის საქმიანობა ბუნებაზე, რა ცვლილებებს იწვევს ის გარემოში და როგორ შეიძლება გავხადოთ ადამიანის ზეგავლენა სასარგებლო და სიკეთის მომტანი ბუნებისათვის.მიმაჩნია, რომ სწორედ ადრეულ ასაკში უნდა მოხდეს ამ სასიცოცხლო აუცილებლობის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, რათა მომავალში მათი გამოყენება თითოეულ მათგანს მოთხოვნილებად ექცეს.ამ საკითხით მით უფრო დავინტერესდი, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრიფმინიჭებულ სახელმძვანელოში Top Score 1 მე-8 გაკვეთილის თემა - ,,Our Planet" სწორედ გარემოს დაცვას ეხებოდა.ჩემთვის,როგორც ინგლისური ენის მასწავლებლისათვის, მთავარ მიზანს წარმოადგენდა ის, რომ ჩემმა მოსწავლეებმა შეძლონ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გადმოცემა ინგლისურ ენაზე, მათ კი არ ჰქონდათ საკმარისი ლექსიკური მარაგი ამისათვის, სწორედ ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ ღრმად შეგვესწავლა ეს საკითხი და განგვეხორციელებინა პროექტი ,,Save The World ".

საკვანძო სიტყვები: *პროექტი, არაფორმალური განათლება,ლექსიკური მარაგი, უნარ-ჩვევები, თანამშრომლობა, თვითაქტუალიზაცია.*

ISSN 1512-1801

ბავშვის სრულფასოვანი განვითარება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად აქვს მას საკუთარი შესაძლებლობების, ინტერესებისა თუ ნიჭის გამოვლენისა და განვითარების საშუალება. სწორედ მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესების,მათს პიროვნულ და სოციალურგანვითარებასა და თვითაქტუალიზაციას, ასევე თავისუფალი დროის რაციონალურად დაგეგმვას უწყობს ხელს სხვადასხვა ტიპის კლასგარეშე აქტივობა.უნდა აღინიშნოს ისიც,რომ სკოლებში, სადაც არსებობს არაფორმალური განათლების კომპონენტები, მოსწავლეები უკეთესი აკადემიური მოსწრებითა და თანამშრომლობის უნარით ხასიათდებიან, იშვიათად აქვთ დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემები, გამოირჩევიან ასევესაკუთარი თავისადმი დადებითი დამოკიდებულებითა და თვითეფექტიანობის განცდით.

სწორედ ამის გათვალისწინებით გადავწყვიტე, განმეხორციელებინა კიდევ ერთი პროექტი ,,დავიცვათ მსოფლიო". ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრიფმინიჭებულ სახელმძვანელოში Top Score 1 მე-8 გაკვეთილის თემა - ,,Our Planet" გარემოს დაცვას ეხებოდა. ჩემთვის როგორც ინგლისური ენის მასწავლებლისათვის, მთავარ მიზანს წარმოადგენდა ის, რომ ჩემმა მოსწავლეებმა შეძლონ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით საკუთარი აზრის გადმოცემა ინგლისურ ენაზე, მათ კი არ ჰქონდათ საკმარისი ლექსიკური მარაგი ამისათვის, სწორედ ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ ღრმად შეგვესწავლა ეს საკითხი და განგვეხორციელებინა პროექტი ,, Save The World " .

პროექტის აქტუალობა: გარემოს დაცვის პრობლემა არ კარგავს თავის აქტუალობას უკანასკნელი ათწლეულებია. ჩვენთვის, მასწავლებლებისთვის, უმნიშვნელოვანესია დავანახოთ ჩვენს აღსაზრდელებს, თუ როგორ გავლენას ახდენს ადამიანის საქმიანობა ბუნებაზე, რა ცვლილებებს იწვევს ის გარემოში და როგორ შეიძლება გავხადოთ ადამიანის ზეგავლენა სასარგებლო და სიკეთის მომტანი ბუნებისათვის. მიმაჩნია, რომ სწორედ ადრეულ ასაკში უნდა მოხდეს ამ სასიცოცხლო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, რათა მომავალში მათიგამოყენება თითოეულ მათგანს მოთხოვნილებად ექცეს.

პროექტის მიზანი :

- მოზარდებს განუვითარდეთ გარემოს დაცვისა დამასზე დადებითიდ ზემოქმედების უნარები;
- მოსწავლეებმა შეძლონ გარემოს დაცვის თემაზეინგლისურ ენაზე საკუთარი აზრის გამოხატვა და მსჯელობა, გაუმდიდრდეთ ლექსიკური მარაგი;
- ხელი შევუწყოთ მოსწავლეებში ეფექტური კომუნიკაციის და თანამშრომლობის უნარების განვითარებას;
- გარემოს დაცვის თემის პოპულარიზაციის მიზნით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შევქმნათ და გავავრცელოთსხვადასხვა რესურსი.

საგნობრივი სტანდარტი:

უცხ.ს.IV.16. მოსწავლეს შეუძლია ინტერაქციაში მონაწილეობა;

უცხ.ს.IV.24. მოსწავლესშეუძლიაუცხოურენაზეგანახორციელოსსხვადასხვატიპისპროექტი;

ISSN 1512-1801

The 4th Teacher Conference "**University and School**" (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

უცხ.ს.IV.27.მოსწავლესშუძლიარესურსებისგამოყენებასასწავლოსაქმიანობისხელშესაწყობად;
უცხ.ს.IV.29.მოსწავლესშეუძლიათანამშრომლობათანაკლასელებთან, მასწავლებელთან, მეწყვილესთანშედეგებისგაუმჯობესებისხელშეწყობისმიზნით.

პროექტის ამოცანები:

- მოზარდებში გარემოს დაცვისა და მასზე დადებითი ზემოქმედების უნარების განვითარების ხელშეწყობა;
- გარემოს დაცვისა თემაზემოსწავლეების ლექსიკური მარაგის გამდიდრება;
- მოსწავლეებში ეფექტური კომუნიკაციის და თანამშრომლობის უნარების განვითარების ხელშეწყობა;
- აღნიშნული თემის პოპულარიზაციისათვის თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით სხვადასხვა რესურსის შექმნა.

პროექტის განხორციელების წინაპირობები:

მოსწავლეები ფლობენ გარკვეულ საბაზისო უნარ-ჩვევებს (წერით, კითხვით და ზეპირმეტყველებითს), ასევე შეუძლიათ ხატვა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება (კომპიუტერის საშუალებით საჭირო ინფორმაციების მოძიება, ასევე ციფრული ტექნოლოგიების დახმარებით მათ მიერ შექმნილი რესურსების ატვირთვა და გაზიარება.)

პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები:

1. **„Let's Recycle"** - ორენოვანი საინფორმაციო ბარათებისდამზადება და გავრცელება, როგორც სკოლის, ასევე მის ფარგლებს გარეთ;
2. **„Minute Art"** - მოსწავლეებმა პროგრამა Paint-ის გამოყენებით გადმოსცეს საკუთარიემოციებიდედამიწისდღესთანდაკავშირებით. დროისლიმიტი 3 წუთიშეირჩაცნობილისამაშველოსიგნალის „SOS"-ისგათვალისწინებით.
3. **„Minute Art"**-ში შესრულებული ნახატებით, საპრეზენტაციოპროგრამა Power Point-ის საშუალებით შეიქმნა პრეზენტაცია, რომელიც მოსწავლეებმა ინტერნეტ სივრცეში ატვირთეს.https://www.youtube.com/watch?v=Y_svuUx0vXw&feature=youtu.bees
4. **„Earth Day is Every Day"** (ყოველიდღედედამიწისდღეა) - გამოფენა;
5. მაკულატურის შეგროვება და ჩაბარება;
6. პოსტერების დამზადება და სკოლაში განთავსება;
7. ნერგების დარგვა;
8. **„Save The World"** - მოსწავლეების კონფერენცია;
9. პროექტის შესახებ ორენოვანი ფლაიერების დამზადება და გავრცელება.

პროექტში მონაწილეები-III- IX კლასის მოსწავლეები.

პროექტის მონიტორინგისა დაშეფასებისსტრატეგია: მთელი პროექტის განმავლობაში ვაწარმოებდი მონიტორინგს, რაც დამეხმარა გამომევლინა გარკვეული ცვლილებები და შესაძლო ხარვეზები.

ISSN 1512-1801

ორენოვან ფლაიერებზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა გარკვეული სახის ტექნიკური პრობლემა, მოსწავლეებს გაუჭირდათ მათ მიერ შედგენილი ტექსტების ფლაიერზე დატანისას არეების დაცვა. ამ წინააღმდეგობის დაძლევაში დაგვეხმარა ისტ-ის მასწავლებელი.

პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები:მოსწავლეებმა გაიმდიდრეს ლექსიკური მარაგი აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. მათ შეძლეს ინგლისურ ენაზე საკუთარი აზრის გამოხატვა და მსჯელობა ზემოთ აღნიშნულ საკითხზე.მოსწავლეებს ჩამოუყალიბდათ ეფექტური კომუნიკაციის და თანამშრომლობის უნარები.თანამედროვე ტექნოლოგიების დახმარებით, აღნიშნული თემის პოპულარიზაციისათვის შექმნეს სხვადასხვა რესურსი: ფლაიერები, სლაიდშოუ, პოსტერები. განხორციელეს გარემოზე ზრუნვის გამომხატველი აქტივობები.

პროექტმა არა მხოლოდ მონაწილე მოსწავლეებში, არამედ სასკოლო საზოგადოებასა და თემშიც დიდ ინტერესი და გამოხმაურება გამოიწვია.

პროექტის განხორციელების შესაძლო ხარვეზები და რისკები და მათი თავიდან აცილების გზები:

ერთ-ერთი აქტივობა იყო ფლაიერების დამზადება,რაც გარკვეულ რესურსს მოითხოვდა, სკოლის დირექციის დახმარებით ეს პრობლემაც წარმატებით დაიძლია.

საგანმანათლებლო პროექტის რეფლექსია :

პროექტის ,,Save The World" განხორციელების იდეას საფუძვლად უდევს რამოდენიმე მიზეზი. პირველ და უმთავრეს მიზეზად მიმაჩნია ის, რომ ზოგადად სხვადასხვა ტიპის კლასგარეშე აქტივობა და ამ კონკრეტულ შემთხვევაში სასწავლო პროექტი, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი ნიჭი და შესაძლებლობები, რაც თავისთავად უწყობს ხელს ბავშვის სრულფასოვან განვითარებასა და თვითაქტუალიზაციას. მოსწავლეები გამოირჩევიან უკეთესი აკადემიური მოსწრებითა და თანამშრომლობის უნარით, ასევე საკუთარი თავისადმი დადებითი დამოკიდებულებითა და თვითეფექტიანობის განცდით. მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვან მიზეზს, ჩემთვის როგორც ინგლისური ენის მასწავლებლისათვის, წარმოადგენდა ის, რომ ჩემს მოსწავლეებს (განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე)არ ჰქონდათ საკმარისი ლექსიკური მარაგი იმისათვის, რომ არსებულ თემასთან დაკავშირებით გამოეხატათ საკუთარი აზრი, მიუხედავად ამისა პროექტში ჩართულმა ყველა მოსწავლემ საწყის ეტაპზე სხვადასხვა სახის აქტივობის გამოყენებით მოახერხა და გამოხატა საკუთარი აზრი თუ ემოცია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით და გარკვეული წვლილი შეიტანა გარემოს დაცვაში, პროექტის ბოლოს კი მათ დაუგროვდათ გარკვეული ლექსიკური მარაგი და არა მარტო, საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეების მონაწილეობით ჩატარდა მოსწვლეთა კონფერენცია აღნიშნულ თემაზე, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია, როგორც მოსწავლეებში, ასევე პედაგოგებში და დასახელდა გამარჯვებული თემა, რომლის ავტორებს გადაეცათ გამარჯვებულის სერთიფიკატი. გამარჯვებული თემის გამოვლენა

ISSN 1512-1801

მოხდა თავად მონაწილე მოსწავლეებისაგან ჩემ მიერ წინასწარ შედგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით. კონფერენციაში მონაწილე ყველა მოსწავლეს გადაეცა მონაწილის სერთიფიკატი, რაც მათთვის კიდევ ერთი დამატებითი სტიმული იყო და ხელი შეუწყო მათში მოტივაციისა და საკუთარი შესაძლებლობებისადმი რწმენის გაზრდას.

მოსწავლეებმა სიღრმისეულად შეისწავლეს ეს აქტუალური საკითხი და დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ყველა აქტივობების შესრულებას.

ამაღლდა მოსწავლეთა მოტივაცია და, შესაბამისად, გაიზარდა პასუხისმგებლობა. მოსწავლეებმა თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა შემდეგი საგანმანათლებლო რესურსები: პოსტერები, ორენოვანი ფლაიერები და ვიდეორესურსი.

განსახორციელებელი ვადებიდან გამომდინარე მომეცა საშუალება დაგვენახა დინამიკაში გარემოზე ზრუნვის პროცესი. მაკულატურის შეგროვების პროცესში ჩაერთო მთელი სასკოლო საზოგადოება, როგორც მოსწავლეები, ასევე მასწავლებლებიც. არცერთი გამოყენებული ფურცელი თუ ქაღალდი არ გადაგდებულა სანაგვე ყუთში 2013-14სასწავლო წლის მარტი-ივნისის ჩათვლით. დანიშნულ ადგილზე მოდიოდა გამოყენებული რვეული, ჯამში შეგროვდა 400 კილოგრამი ქაღალდი და მოხდა მისი სპეციალურ მისაღებ პუნქტში ჩაბარება. რეალიზებული მაკულატურის თანხა მოხმარდა ნერგების შეძენას, რომელიც დაირგა სკოლის ეზოში.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები პერიოდულად იტვირთებოდა სკოლის Facebook გვერდზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა- http://ncp.ge/
2. M.Duckworth, P.Kelly , K.Gude, H.Halliwell - Top Score 1-2007;
3. Intel-ის მასალებიhttp://www.tpdc.ge/essentials/